

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N181207836



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

01.10.2018 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ზაზა მეგრელიშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქალაქი თბილისი, სტანისლავსკის ქუჩა №5

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

599313105

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

75257825186218



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ოცრამეტი წლის პირველ ოქტომბერს მე, ნოტარიუსი ზაზა მეგრელიშვილი, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, სტანისლავსკის ქუჩა №5, ვადასტურებ მიხეილ გეგეჭკორის (დაბადებული: 10.03.1979 წელს, მისამართი: ქალაქი თბილისი, ია კარგარეთელის ქუჩა, N 3ბ. პირადი ნომერი: #01005004586) ხელმოწერის ნამდვილობას წინამდებარე აქტზე. მთარგმნელმა წარმოადგინა ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მიხეილ გეგეჭკორის სერტიფიკატი გაცემული ტრენინგ-ცენტრ „პოლიგლოტის“ მიერ 2017 წლის 23 ოქტომბერს N038. სერტიფიცირებული დონე: C1 - ინგლისური ენა) მთარგმნელი ჩემს მიერ გაფრთხილებულია მასზე, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე. მთარგმნელმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ქართულ და ინგლისურ ენებს, თარგმანი ზუსტია და თარგმანზე ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 100 ლარი 1 ეგზემპლარისათვის (1 ეგზემპლარი შედგება 50 გვერდისგან და თარგმანში თარგმნილი დოკუმენტის ყველა გვერდზე განახორციელა თავისი ხელმოწერა) და 39-ე მუხლის შესაბამისად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2 ლარი, სულ გადახდილია 102 ლარი.

On First of October I, Notary Zaza Megrelishvili in my notary office located in: №5 Stanislavski street, Tbilisi, verify authenticity of the signature made by translator Mikheil Gegetchkori (born on: 10.03.1979, address: №3b Kargareti str., Tbilisi, Personal Number: №01005004586). The Translator presented (Certificate #038, issued by Training Centre "Polyglot", on October 23, 2017). The translator has been warned by the notary about his responsibility for accurate translation. The Translator has confirmed in my presence that knows English and Georgian languages properly, translation is accurate and signed the translation in my presence.

Paid notarial charges, according to the Resolution №507 approved by the Georgian Government dated on December 29, 2011 according to the Article 31 about - "notarial charges and amount of fees prescribed by the Notary Chamber, the rule of their payment and "terms of service" 100 GEL for 1 copies (1 copy consists of 50 pages and the translator fulfilled his signature on all pages) the translation and according to the Article 39 notarial registration charges - 2 GEL, totally 102 GEL is paid.

ნოტარიუსი:

Notary:



ზაზა მეგრელიშვილი

Zaza Megrelishvili

აკონსულტირებულია
(მადრიდის)
გუბერნიის



საგარეო საზღვარების დაცვის სამსახური

საგარეო ურთიერთობების სამსახური

საგარეო ურთიერთობების სამსახური

საგარეო ურთიერთობების სამსახური

საგარეო ურთიერთობების სამსახური

საგარეო ურთიერთობების სამსახური

საგარეო ურთიერთობების სამსახური

საგარეო ურთიერთობების სამსახური

საგარეო ურთიერთობების სამსახური

საგარეო ურთიერთობების სამსახური

საგარეო ურთიერთობების სამსახური



სს "გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია"



ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

პეტე კეკელიძე

თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარჯიმანთა ბიურო „ალფა“-ს დიპლომირებული თარჯიმნის მიხეილ გეგეჭორის მიერ.



სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება 8

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 9

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 10

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 11

ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 12

2. მომზადების საფუძველი 13

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება 21

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 34

5. შემოსავალი მომსახურების მიწოდებიდან 36

6. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 37

7. სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები 37

8. პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ხარჯები 38

9. საფინანსო შემოსავალი 38

10. ძირითადი საშუალებები 38

11. არამატერიალური აქტივები 39

12. დებიტორული დავალიანებები ვაჭრობიდან 40

13. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები 41

14. სხვა მიმდინარე აქტივები 41

15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები 42

16. სააქციო კაპიტალი 42

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 42

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 48

19. ბალანსის ანგარიშგების შემდგომი პერიოდის მოვლენები 50



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს "გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის" აქციონერებისა და მენეჯმენტისათვის
დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს "გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის" (შემდგომში - კომპანია) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის საქმიანობის შედეგების კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფას).

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (აას). აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსის) მოთხოვნებთან იმ ეთიკის მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც შეესაბამება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტს და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით და მოთხოვნებით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.



ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია და შესაფერისა ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.



უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომების შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

-) ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომების შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას და შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
-) შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
-) ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
-) გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებად საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ



არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

-) ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
-) მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშზე აუდიტისთვის პასუხისმგებელი პარტნიორი



0119, საქართველო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 116, „დიდუბე პლაზა“, ოფისი #218, ტელ.: +995 557 501 000

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 ივლისი 2018 წელი



0119, საქართველო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 116, „დიდუბე პლაზა“, ოფისი #218, ტელ.: +995 557 501 000

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან	5	11,695,870	11,825,606
სხვა შემოსავალი		2,129	63,155
		11,697,999	11,888,761
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	6	(3,544,211)	(3,221,851)
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,060,646)	(2,079,987)
ცვთა და ამორტიზაცია		(1,359,843)	(1,578,875)
პროგრამული უზრუნველყოფის გადასახადი	8	(1,022,561)	(873,807)
		(7,987,261)	(7,754,520)
საოპერაციო შემოსავლები		3,710,738	4,134,241
ფინანსური შემოსავალი	9	509,989	497,208
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან		(15,375)	(40,663)
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		4,205,352	4,590,786
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(630,564)
სულ სრული შემოსავალი		4,205,352	3,960,222

2018 წლის 30 ივლისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ ვ. ასლამაზიშვილი

მთავარი ბუღალტერი _____ მ. ჩხიკვიშვილი

10-29-ე გვერდებზე მითითებული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



0119, საქართველო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 116, „დიდუბე პლაზა“, ოფისი #218, ტელ.: +995 557 501 000

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
აქტივები			
არა მიმდინარე აქტივები			
უძრავი ქონება და აღჭურვილობა	10	1,606,936	2,152,703
არამატერიალური აქტივები	11	3,049,081	3,071,407
სულ არა მიმდინარე აქტივები		4,656,017	5,224,110
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		209,896	233,533
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	12	1,275,712	1,247,837
დაფარვის ვადამდე ფლობილი	13	3,342,369	2,596,395
ინვესტიციები			
სხვა მიმდინარე აქტივები	14	451,562	1,282,945
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15	1,561,917	5,022,401
სულ მიმდინარე აქტივები		6,841,456	10,383,111
სულ აქტივები		11,497,473	15,607,221
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
წილობრივი კაპიტალი	16	3,488,510	3,488,510
გაუნაწილებელი მოგება		7,165,561	2,960,209
სულ საკუთარი კაპიტალი		10,654,071	6,448,719
არა მიმდინარე იალონიზაციები			
ანარიცხები		45,000	45,000
სულ არა მიმდინარე ვალდებულებები		45,000	45,000



მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	104,932	71,502
გადახდილი დივიდენდები	601,200	9,000,000
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	92,270	42,000
სულ მიმდინარე ვალდებულებები	798,402	9,113,502
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11,497,473	15,607,221

10-29-ე გვერდებზე მითითებული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	3,488,510	7,999,987	11,488,497
დივიდენდები	-	(9,000,000)	(9,000,000)
სულ წლის სრული შემოსავალი	-	3,960,222	3,960,222
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	3,488,510	2,960,209	6,448,719
სულ წლის სრული შემოსავალი	-	4,205,352	4,205,352
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	3,488,510	7,165,561	10,654,071

10-29-ე გვერდებზე მითითებული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



0119, საქართველო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 116, „დიდუბე პლაზა“, ოფისი #218, ტელ.: +995 557 501 000

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
შემოსავალი დაბეგვრამდე		4,205,352	4,590,786
ცვლილებები მიემართება:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10, 11	1,359,843	1,578,875
ფინანსური შემოსავალი	9	(509,989)	(497,208)
შეცვლა გარანტიის უზრუნველყოფაში		-	(27,259)
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		15,375	40,663
არამატერიალური აქტივების ჩამოწერიდან მიღებული წმინდა ზარალი		18,500	=
სამუშაო კაპიტალში ცვლილებებამდე საოპერაციო საქმიანობიდან თანხის შემოდინება		5,089,081	5,685,857
სამუშაო კაპიტალის მოძრაობა:			
ინვენტარის შემცირება		23,637	69,658
შემცირება/(ზრდა) ვაჭრობასა და სხვა მიმდინარე დებიტორულ დავალიანებებში		803,508	(309,758)
ვაჭრობისა და სხვა მიმდინარე კრედიტორული დავალიანებების ზრდა		134,149	231,722
ფულადი შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		6,050,375	5,677,479
გადახდილი მოგების გადასახადი		(50,000)	(1,450,000)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება		6,000,375	4,227,479
ფულადი ნაკადების შემოდინება			
ქონების და აღჭურვილობის შეძენა	10	(181,974)	(363,120)
შემოსავლები ქონებისა და აღჭურვილობის რეალიზაციიდან		-	10,649



არამატერიალური აქტივების შეძენა	11	(628,276)	(760,059)
დაფარვის ვადამდე ფლობილი		(1,000,743)	(2,300,000)
მიღებული საპროცენტო სარგებელი		764,758	232,320
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა გადინება		(1,046,235)	(3,180,210)
მიღებული ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(8,398,800)	-
ფულადი სახსრების წმინდა გადინება ფინანსური საქმიანობიდან		(8,398,800)	-
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში		(3,444,660)	1,047,269
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისში		5,022,401	4,004,712
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტო ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე		(15,824)	(29,580)
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების		1,561,917	5,022,401

10-29-ე გვერდებზე მითითებული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს "გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია" (შემდგომ - კომპანია) დაარსდა 2001 წლის მარტში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის სააქციო საზოგადოება (სააქციო საზოგადოება).



0119, საქართველო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 116, „დიდუბე პლაზა“, ოფისი #218, ტელ.: +995 557 501 000

სს "გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია" არის საერთაშორისო ბარათების სისტემების სერტიფიცირებული გადამამუშავებელი ცენტრი - ვიზა ინთერნეშენალ (VISA International) და მასთერქარდ ვორლდვაიდ (MasterCard Worldwide) ბარათის გამოცემაში. 2011 წლის თებერვლიდან კომპანია სერტიფიცირებულია PCI DSS- ის მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანიის საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ვიზა ინთერნეშენალ, მასთერქარდს და მასტრო ინ ბენქსში, ბანკომატების, სავაჭრო ცენტრების და მომსახურების ობიექტებში გადახდის პროცესის უზრუნველყოფას.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- სს "თიბისი ბანკი" - აქციების 93.31%
- შპს იუ ეფ სი ინთერნეშენალ - აქციების 6.69%

კომპანიას არ გააჩნდა საბოლოო საკონტროლო პაკეტი 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის მდგომარეობით. კომპანიის იურიდიული მისამართია 154, აღმაშენებლის გამზირი, თბილისი, საქართველო.

2. მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) იერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კომპანია აწარმოებს თავის აღრიცხვას და ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ქართულ ლარში (ლარში) საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად.



საანგარიშო პერიოდი კომპანიისთვის არის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშების თანხა წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებებს. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას გადაწყვეტილების მიღებას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტიანობის შესამუშავებლად მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები რომლებიც გაკეთდა მოცემულია შენიშვნა 4-ში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

2. შეფასების საფუძველი (გაგრძელება)

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში ცვლილებები

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოქვეყნებულა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შესაძლო ჰქონდეს გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:



-) ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან
-) ფასს 19 - ფინანსური ინსტრუმენტები
-) ფასს 16 - იჯარა

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან,

2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები, ბასს 11- სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. ეს სტანდარტი ეფექტური იქნება ყოველი წლისთვის, 2018 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზაციამ შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისთვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთ ეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება.

ზემოთ ხსენებული ხუთი ეტაპის მოდელი განისაზღვრება შემდეგნაირად:

-) კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
-) საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
-) ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
-) ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
-) შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო



დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვაც. ფასს 15-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

2. შეფასების საფუძველი (გაგრძელება)

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- 1) **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობის



ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რომლებიც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- .) **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური



ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. გაუფასურება. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.

) **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც

უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

) **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.



სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვაც. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ფასს 16 იჯარა.

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 იჯარა, IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC -15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC -27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას.

მოიჯარეთა მიმართ საბუღალტრო მოთხოვნები უმეტესწილად ბასს 17-იდან უცვლელად განხორციელდა. ისინი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს, და შედეგად ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც "სარგებლობის უფლება" და შესაბამისი უმეტესი იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები. აქტივი მოგვიანებით აღირიცხება ქონებად, დანადგარად და აღჭურვილობად ან საინვესტიციო ქონებად და არ დგება იჯარით აღებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების ვალდებულება. თუმცა, კომპანიებს შეუძლიათ არ მოახდინონ მოკლევადიანი იჯარების (მაგალითად, 12 თვე ან ნაკლები ვადით) და დაბალი ღირებულების იჯარების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში გათვალისწინება.

შედეგად, საკვანძო კითხვა იცვლება იქედან წარმოადგენს თუ არა იჯარა საოპერაციო ან ფინანსურ იჯარას მიმდინარე სახელმძღვანელოს მიხედვით, თუ შეთანხმება იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს ლიზინგის განმარტებასთან შესაბამისობა. ფასს 16 -ის ფარგლები ფართოა და ზოგიერთი ხელშეკრულება, რომლებიც მოიცავს



აქტივების გამოყენებას, შეიძლება განიხილებოდეს როგორც მომსახურების ხელშეკრულებები (რომლებიც აღმასრულებელია და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში არ არის გათვალისწინებული) და რომლებიც შეიძლება ფასს 16 ფარგლებში შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც იჯარა. მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით აუცილებელი შეიძლება გახდეს სისტემებსა და პროცესებში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება.

შემოსავლის ანგარიშგებაში ფასს-ის 16-ის გამოყენება გამოიხატება ცვეთის ხარჯსა (საოპერაციო ხარჯების ფარგლებში) და საპროცენტო ხარჯში. თუ ვივარაუდებთ, რომ ცვეთის ხარჯი ირიცხება წრფივი მეთოდის საფუძველზე, საერთოდ ხარჯი იქნება უფრო მაღალი იჯარის პირველი ნაწილისთვის, შემდგომ პერიოდებთან შედარებით, ვინაიდან იჯარის ვალდებულება და მასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი იქნება უფრო მაღალი.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან არსებული ხელშეკრულებიდან.

ფასს 15 შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები და ფასს 16 იჯარა კვლავ განხილვის პროცესშია, რადგან ამ ახალმა სტანდარტებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის სამომავლო ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)



3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ბასს 39-ის ფარგლებში ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც დაფარვამდე შენახული ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის, სესხების და მოთხოვნების გათვალისწინებით, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ან როგორც გასაყიდად ვარგისი ფინანსური აქტივები. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულება მოგებასა ან ზარალში ასახვით

ეს კატეგორია შედგება მხოლოდ ფულით წარმოებულებისგან. მათი მაჩვენებლები აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის ნაწილში.

კომპანია არ ფლობს აქტივებს ვაჭრობისთვის და არც საკუთარი ინიციატივით ახდენს აქტივების კლასიფიკაციას რეალური ღირებულებით მოგებასა ან ზარალში ასახვით.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრადი გადახდებით და ფიქსირებული დაფარვის ვადით კლასიფიცირდება, როგორც ფლობილი დაფარვამდე, როდესაც კომპანიას გადაწყვეტილი აქვს და



შეუძლია მათი განკარგვა დაფარვამდე. კომპანია არ ფლობს დაფარვამდე ფლობილად კლასიფიცირებულ აქტივებს.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული ოპერაციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შესყიდვას ან გამოშვებას და საბოლოოდ აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

გასაყიდად გამიზნული

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული და ძირითადად მოიცავს კომპანიის სტრატეგიულ ინვესტიციებს საწარმოებში, რომლებიც არ კვალიფიცირდება როგორც ფილიალები, ასოცირებული ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები, ასევე კორპორატიულ ობლიგაციებს. ისინი აისახება რეალური ღირებულებით, რომლის ცვლილებაც აღიარდება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და აკუმულირდება გასაყიდად განკუთვნილ რეზერვში; გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი კლების შემთხვევაში (რაც წარმოადგენს გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას), გაუფასურების სრული ოდენობა, წინათ სრულ შემოსავალში აღიარებული თანხების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შესყიდვა და გაყიდვა აღიარდება ანგარიშსწორების დღეს, ნებისმიერი ცვლილებებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა მის რეალურ ღირებულებაში, გაყიდვის დღესა და ანგარიშსწორების დღეს შორის და აღიარდება, როგორც გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვი. გაყიდვის დროს,



სხვა სრულ შემოსავალში აკუმულირებული მოგება ან ზარალი გადაკლასიფიცირდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებიდან მოგებაში ან ზარალში. კომპანიას არ აქვს გასაყიდად გამიზნულად დაკლასიფიცირებული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები დაკლასიფიცირებულია მიღებულ სესხებად, სუბორდინირებულ სესხებად და სხვა ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულებების საწყისი აღიარება ხდება ოპერაციის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის შესაბამისად.



ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ვალდებულების აღრიცხვა ამორტიზებადი ღირებულებით და ანაწილებს საპროცენტო ხარჯებს შესაბამის პერიოდებზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა, სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების

აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(დ) ფასს 13 სამართლიანი ღირებულებით შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ,



რომლებიც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. სამართლიანი ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

-) იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე)
-) პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ (ე.ი ნაწილებად) ან არაპირდაპირ (მე-2 დონე)
-) ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე)

სამართლიანი ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; შესაბამისად, ისინი არ საჭიროებენ ფასს 13 სამართლიანი ღირებულების გაზომვის იერარქიას.

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

ფულადი ნაკადები და ფულადი ნაკადების ეკვივალენტები

ფულადი ნაკადები და ფულადი ნაკადების ეკვივალენტები არის ისეთი საგნები, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია ნაცნობ ფულადი სახსრებზე და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებების უმნიშვნელო რისკს. ფულადი ნაკადები და ფულადი ნაკადების ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს



საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე, სამ თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფულადი ნაკადები და ფულადი ნაკადების ეკვივალენტებს არ წარმოადგენენ ისეთი ფულადი სახსრები, რომლებიც შეზღუდულია სამი თვეზე მეტი ხნით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით. ძირითად საშუალებების არსებითი ნაწილების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და გამოცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით, ცვეთა ერიცხება შემდეგ სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ყოველი საანგარიშო თარიღის მიხედვით, მენეჯმენტმა აფასებს არსებობს თუ არა დანადგარებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, მენეჯმენტი ადგენს დაახლოებით აღდგენის ღირებულებას, რომელიც არის აქტივის რეალური სამართლიანი ღირებულების გაყიდვაზე ნაკლები და მისი გამოყენების ღირებულებაზე მაღალი. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენითი ღირებულებით და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგებასა და ზარალში. აქტივებისთვის გაუფასურებული ზარალი წინა წლის განმავლობაში შეცვლილია, თუ ცვლილება მოხდა აქტივების გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას ან სამართლიანი ღირებულებაზე ნაკლებად გაყიდვის ფასში.

მოგება ან ზარალი ნარჩენებზე განისაზღვრება საბალანსო ღირებულების შედარებით, და აღიარებულია წლის განმავლობაში მოგების ან ზარალის მუხლებში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ხარჯების გამოყოფის მიზნით:



ჯგუფი	სარგებლობის სიცოცხლე (წელი)
კომპიუტერები და სერვერების აღჭურვილობა	3-15
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	5-10
ავტომობილები	10

არამატერიალური აქტივები

კომპანიის ყველა არამატერიალური აქტივს გააჩნია განსაზღვრული სარგებლიანობის მომსახურების პერიოდი და მოიცავს ლიცენზიებსა და პროგრამულ უზრუნველყოფას.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება გაწეული ხარჯების საფუძველზე და ხდება მათი საშუალებით სპეციალური პროგრამის გამოყენება. ყველა სხვა ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია კომპიუტერულ პროგრამებთან, მაგალითად მისი შეკეთება, ხარჯად აღირიცხება მათი ხარჯად გაწევის მომენტში. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდის მიხედვით მათი სარგებლიანი მომსახურების 7 წლის განმავლობაში.

მარაგები

მარაგების აღიარება ხდება ხარჯის გაწევის მომენტში და შესაბამისად იმაზე ნაკლებ ღირებულებად და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებად. ხარჯი შეიცავს ყველა შეძენაზე გაწეულ ხარჯს და სხვა ხარჯებს, რომლებიც გაწეულია მათს ფაქტობრივ მისამართზე მარაგების მისატანად არსებულ კონდიციაში. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, იმპორტის გადასახადი და სხვა პირდაპირი ხარჯები.

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

დაბეგვრა



საქართველოში მოგების გადასახადის ახალი მოდელი 2017 წლის 1 იანვრიდან არის ძალაში. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და ეკონომიკური ზრდა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით ძირითადი ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის გადავადებაა წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს მიღებული მოგების რეინვესტირებას ერთსა და იმავე და ახალ საქმიანობაში. მოგების გადასახადის განაკვეთი რჩება იგივე, რაც ადრე - 15%, ტექნიკურად გამოითვლება 15%/85% განაკვეთის გამრავლებით დასაბეგრი ობიექტის ოდენობაზე. გარდა ამისა, ყოველწლიური გადასახადის ნაცვლად, მოგების გადასახადი დაერიცხება კომპანიას ყოველთვიურად, არა უგვიანეს მომდევნო თვის მე -15 დღისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტებს წარმოადგენს შემდგომი ტრანზაქციები/უშუალო გადახდები:

-)/ მოგების განაწილება (დივიდენდის გადახდა)
-)/ ხელშეკრულების ფასსა და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
-)/ ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
-)/ გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
-)/ უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება
-)/ წარმომადგენლობითი ხარჯები კანონმდებლობით განსაზღვრულ ლიმიტებს ზემოთ

საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათის გათვალისწინებით, არ არსებობს განსხვავებები კომპანიის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზრებს შორის, რომლებიც შეიძლება გახდეს გადავადებული საგადასახადო აქტივებსა ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების მიზეზი.



მოგების გარდა სხვა გადასახადები, აღიარებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმოიშობა მათი გადახდის მავალდებულებელი ტრანზაქცია. მავალდებულებელი ტრანზაქციები არის ისეთი ტრანზაქციები, რომელიც იწვევს საგადასახადო ვალდებულებას. გადასახადები გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის აქციები განსაზღვრავს უფლებამოსილი სააქციო კაპიტალის ოდენობას. კომპანიის სააქციო კაპიტალის ცვლილებები მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებით ხდება. ავტორიზებული კაპიტალი აღიარებულია კომპანიის სააქციო კაპიტალში კომპანიის აქციებში იმ ზომით, რა ზომითაც მოხდა კომპანიის მესაკუთრეების მიერ კაპიტალში შენატანის განხორციელება.

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

შემოსავლების აღიარება

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები შემოსავლის სამართლიანი ღირებულებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება; როდესაც სავარაუდოა, რომ მომავალში მოხდება ეკონომიკური ბენეფიტების კომპანიაში შემოდიდება; და როდესაც კონკრეტული სამუშაოების თითოეული კრიტერიუმი დაკმაყოფილებული იქნება კომპანიის თითოეულ საქმიანობაზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ. კომპანია თავის ამონაგებს აფუძნებს ისტორიული შედეგებს, მომხმარებელთა ტიპს, გარიგების ტიპსა და თითოეული ტრანზაქციის სპეციფიკას



მომსახურებების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. დასრულების ეტაპი შეფასებულია სამუშაოს შესრულების კვლევებზე დაფუძნებით. როდესაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერთი მოქმედების ქვეშ არსებული მომსახურებების გაწევა ხდება სხვადასხვა საანგარიშგებო პერიოდში, შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე მომსახურებებს შორის.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება ან გაზრდა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოშობილი ხარჯები აღიარდება პროპორციული კალკულაციით შესაბამის შემოსავლებთან მიმართებით.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებლები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ობიექტები იზომება პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც კომპანია ახორციელებს თავის საქმიანობას



0119, საქართველო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 116, „დიდუბე პლაზა“, ოფისი #218, ტელ.: +995 557 501 000

(„ფუნქციონალური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლარი), რაც კომპანიის ფუნქციონალური და საპროცენტო ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922	3.1044
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6468	2.7940

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს (ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივი

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის



0119, საქართველო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 116, „დიდუბე პლაზა“, ოფისი #218, ტელ.: +995 557 501 000

